

**პროფესიული მომზადების პროგრამა „სალარო ოპერაციების განხორციელება“**

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მე-3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 11 კვირა

კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ: 121 სთ; 1 – 9 კვირა - 13სთ, მეათე კვირა - 4 სთ.

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 20

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

- საბაზო განათლება;
- ასაკი არანაკლებ 17 წელი

**პროგრამის მიზნები:**

პროფესიული მომზადების პროგრამის „სალარო ოპერაციების განხორციელება“ მიზანია ისეთი უნარჩვევების და შესაძლებლობების გამომუშავება, რომლითაც მსმენელები შეძლებენ კორპორაციული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას, კლიენტის/მომხმარებლის ხარისხიან მომსახურებას, ნაღდი ანგარიშსწირვისას ნაღდი ფულის მიღებას, ნაღდი ფულის გაცემას, შემოსავლის და გასავლის ორდერის მომზადებას, კონვერტაციას, საეჭვო და დაზიანებული ბანკნოტის გამოვლენას, სალარო ოპერაციებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას: სალაროს გახსნა/დახურვას, ინკასაციას, ფულის ფორმირებას.

**პროგრამის შემუშავების საფუძველი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (საფინანსო სერვისები /Finance services -04117-პ)

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროფესიული მომზადების პროგრამის „სალარო ოპერაციების განხორციელება“ მსმენელებს მისცემს შესაძლებლობას, საფინანსო და სავაჭრო ორგანიზაციებში განახორციელონ სალარო ოპერაციები.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 კვირას, 1-9 კვირა - 13 საათი კვირაში, მე-10 კვირა 4 საათი, სულ 121 საათი.

პროგრამაზე სწავლა განხორციელდება, კეთილმოწყობილ აუდიტორიუმში, პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შექმნა, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავება. გამოყენებული იქნება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, შესაძლებელია ასევე პროგრამის დისტანციური ფორმით განხორციელება ონლაინპლატფორმ(ებ)ის გამოყენებით. ონლაინ სწავლების დროს სასწავლო რესურსი და სამუშაო დოკუმენტები გადაეცემათ ელექტრონული სახით და პროგრამა “Alta Software“ პროცედურების განხორციელების დროს გამოყენებული იქნება AnyDesk პროგრამა, რითაც პროგრამაზე წვდომის საშუალება ექნებათ.

მსმენელების განმავითარებელი შეფასებისთვის გამოყენებული იქნება ტესტი, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება, მიმდინარე (განმავითარებელი შეფასება) ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება. განმსაზღვრელი (საბოლოო) შეფასება ჩატარდება სწავლების ბოლოს კოლეჯში პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

პროფესიული მომზადების პროგრამის „სალარო ოპერაციების განხორციელება“ დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულების დასაქმებას, საფინანსო და სავაჭრო დაწესებულებებში.